



gazeTi gamodis
1931 wli s 5 ianvridan

გ ა ზ ე რ ი ბ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს სხდომაზე

ნიმუშა ნიკოლაიშვილი



ჩამონათვალი, რომელიც ამჟამად არსებობს სოფელში და მათი მოგვარება სწორედ პრიორიტეტების მიხედვით უნდა მოხდეს. სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან ერთად, საბავშვო ბაღის შერჩევა-შეკეთებაც.

მესამე საკითხის განხილვისას, რომელიც ბიუჯეტის სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2011 წლის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებდა, ასკანის დეპუტატმა ლევან ნინიძემ ასკანაში არსებული სოციალურად დაუცველი ფუნქციონირებელი ადამიანი შევარდნაძე გაიხსენა. მას დახმარება შეუძერეს იმიტომ, რომ მის ბიძაშვილს, რომელთანაც თავს აფარებდა, ჰყავდა ძროხა. „სამართლის პუნჯაღე“ კი ეს ადამიანი უკვე გარდაიცვალა.

დეპუტატის თქმით, გურიაში ძროხა მარჩენალი კი არა, იქნა სარჩენი.

მალი უკმყოფლონი არიან სოციალური აგენტების მუშაობით, და არა მხოლოდ ასკანაში. სოციალური კანონით ძროხა მარჩენალია — ამბობენ, არადა გურიაში ხშირად ძროხა იქნა სარჩენი. სამართლიანობა და კანონიერება სხვადასხვა მცნებებია?

სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილეს ასევე ქალაქ ოზურგეთის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ. ავთანდილ მეტეხიძემ მთელი ისტორიული მიმოხილვით, თელი სახოკია გაიხსენა, რომელიც გურიაში მოგზაურობის დროს ყურადღებას ამახვილებს ქალაქის თვითმმართველობაზე. — მართალია ამჟამად არ გვაქვს ქალაქის თვითმმართველობა და შესაბამისად არც ბიუჯეტი, მაგრამ ოზურგეთის ამისი კარგი ისტორია, აქვს და სამომავლოდ ამისი გათვალისწინება ურიგო არ იქნება.

შევიძლია გავიხსენოთ თელი სახოკია, რომელიც ადგილობრივი დარჩა აქ მოგზაურობით. ამ გეგმის განხორციელებით ოზურგეთი სუფთა, კოლორიტულ და ვერობულ ქალაქად იქცევა.

განიხილეს დაბა ურეკში საკუთრებასა და სარეგლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ობიექტების დროებით ჩადგმის საკითხიც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომელიც 4 ივლისს გაიმართა, დღის წესრიგით გათვალისწინებული რვა საკითხი განიხილეს.

მელექედურის დეპუტატმა ავთანდილ ხინთიბიძემ მოითხოვა სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული საკითხების დამტკიცებამდე მოხდეს მელექედურის საკითხის შერჩევა, რათა სოფელში არსებულ პრობლემათა აღწერისა და მოსახლეობასთან შეთანხმების შემდეგ გამოიკვეთოს უპირატესად მოსაგვარებელი პრობლემები და შესაბამისად მოხდეს მისი დაფინანსება. რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარისაგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ამ საკითხის შერჩევა გამოიწვევდა მინიმუმ ერთი თვით გადადებას. რაც შეეხება პრობლემათა ჩამონათვალს. ალექო მამუშვილის პასუხით, სწორედ საბავშვო ბაღის გადახურვა წარმოადგენს სოფლისთვის პრიორიტეტულ პრობლემას და ამაზე არსებობს მოსახლეობის ხელმოწერებიც.

ავთანდილ ხინთიბიძე: სოფელში ნამდვილად არ მოხდარა პრობლემების შეგვარება მოსახლეობასთან შეთანხმებით. ჩამოიარა რწმუნებულმა და მათ მხოლოდ შეკითხვა დაუსვა, უნდაღა, თუ არა საბავშვო ბაღის გადახურვა. აბა ვინ ეტყობა, რომ არ უნდათ. ვეჭვობ ეს თანხა ცოცხალი ბაღის სტანდარტების შესაბამისად გადახურვა-შერემონტებას. ჩვენ გვინდოდა ბაღისთვის სახლი გვეყიდა ან დროებით გვექირავებინა და ამ ეტაპზე სოფლისთვის გამოყოფილი თანხით სხვა სამუშაოები შეგვესრულებინა, რომლითაც წყალში არ ჩაიყრებოდა წინა წლებში გაწეულ სამუშაოებზე დასარჯული თანხა. დეპუტატმა ასევე წარმოადგინა იმ პრობლემათა

ოზურგეთის ქუჩებს სპეციალიზირებული მანქანა დაასუფთავებს

ქალაქ ოზურგეთის ქუჩებს მეცხოველებთან ერთად სპეციალური მანქანა დაასუფთავებს. დასუფთავების, სამსახურის ბალანსზე არსებული ტენიკა ა(ა)იპ „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის“ ინიციატივით და სპეციალისტების დახმარებით შეკეთდა. მანქანა არამარტო დასუფთავებს, არამედ ზაფხულის ცხელ დღეებში ქუჩების მორეცხვით სამუშაოებსაც ჩატარებს.

რაც შეეხება საკურორტო სეზონზე შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოზურგეთის მონაკვეთზე პლაჟების დასუფთავებას, სამსახურის უფროსის ვლადიმერ სალუქვაძის განცხადებით ამჟამად ურეკის პლაჟის დასუფთავებას 35 ადამიანი ახდენს. არამარ-



ტო დამსვენებლებს, არამედ ოზურგეთლებს დასუფთავების სამსახური სრულყოფილად მოემსახურება.

აამუშვილა ტიფო მიქათაის კითხვა უპასუხოდ დატოვა

მარი კოპოიძე

ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით სამოქალაქო საზოგადოების მიერ დასმულ 10 შეკითხვას ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე, ალექო მამუშვილმა 7 ივლისს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში უპასუხა.

შეხვედრა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. აქტუალური შეკითხვების თავმოყრის მიზნით, ცენტრის თანამშრომლები წინასწარ დაუკავშირდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც ცენტრში მათთვის საინტერესო კითხვები გაგზავნეს. ადგილობრივმა თვითმმართველობამ კი შესაბამისი პასუხები მოამზადა. შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: დეცენტრალიზაცია, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტები, საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა, სამშენებლო ნებართვები, თვითმმართველობის მოხელეთა შერჩევა, უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ქალთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში.

შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიების და მედიის წარმომადგენლები. აუდიტორია აქტიური იყო. წინასწარ მომზადებული 10 კითხვის გარდა მამუშვილს კიდევ ბევრ კითხვას მოუწია პასუხის გაცემა. განსაკუთრებით ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, ლელა ნაცვალაძე და ტიფო მიქათაძე აქტიურობდნენ.

— ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა თავიდანვე ითვალისწინებდა მმართველობისა და ბიუჯეტის დეცენტრალიზაციას. დღეს ვაგვიქვს სურათი: ქვეყანაში ვერტიკალური მმართველობაა. ექსპერტები ამბობენ, რომ უნდა გაიზარდოს დეცენტრალიზაციის ხარისხი, რადგან ტრანსფერებით თანხების გადანაწილება ხშირად სუბიექტურ გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, რაც ხელს უშლის რესურსების ეფექტიან განაწილებას, ხო-



ლო თვითმმართველი ერთეულები მობილიზებული არ არიან შემოსავლების გაზრდაზე. რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ცენტრალურ ხელისუფლებას და მოკიდებულების ხარისხის გაზრდის რისკს შეიცავს. რას ფიქრობთ ამის შესახებ თქვენ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე?

— როცა ვთანხმდებით რომ თვითმმართველობა არის დამოკიდებული რგოლი, ვთანხმდებით იმაზე, რომ დამოუკიდებელი ხარ მაშინ, როცა გაქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ამ შეკითხვაში ალბად საუბარი არის ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ ადგილობრივი შემოსავლების ღირსი ნაწილი უნდა დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტში, და მცირე ნაწილის გატანა მოხდეს ცენტრალურ დონეზე. 2010 წელს შემოსავლების 85% იყო ქალაქ თბილისში. მოლიანი შემოსავლებიდან რჩებოდა 650 000 000 ლარი, რომელიც უნდა გადანაწილებულიყო 64 მუნიციპალიტეტზე და თვითმმართველ ქალაქებზეც. მივიღებდით შემდეგნაირ მდგომარეობას, დაახლოებით 52 მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებდა მინიმალური ხელფასების გაცემასაც კი.



ოზურგეთში 7 ქუჩა მოასფალტდა

— მუნიციპალური პროგრამით 3. 000 ტონა ასფალტი დაიგო და 650 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდა ქ. ოზურგეთში მალაზონიას, გრიშაშვილის, ბაქრაძის, ვაგახიშვილის, ლესელიძის, გოგებაშვილის, ყაზბეგის ქუჩებზე— გვითხრა შპს „გაზამენი 18“-ის უფროსმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა თემურ ვახვაშამ. მისი თქმით, ამჟამად აღნიშნულ ქუჩებზე ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს.

შპს „გაზამენი“ ამჟამად ტროტუარების კეთილმოწყობას იწყებს გმირთა მოედნიდან „მედალფას“ კლინიკამდე. ასევე ცხაურები ეწყობა ცენტრალური უნივერსიტეტის წინ, გიორგი ჭანტუიას ქუჩაზე. გურიის ქუჩის დასაწყისში დაიგება ახალი ფილაკანი.



ოზურგეთელი გაზამენები პარალელურად ჩაისუბან-ნიდისთავის 3-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციაზეც მუშაობდნენ და ამ დღეებში უფრო ზემოთ, ბანძაროს მისაღვომებთან გადაინაცვლებენ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|--|--|--------------------------------|-------------------------------|
| მზე, ღრუბალონი +20+25 9 ივლისი ორშაბათი | წვიმა +20+24 10 ივლისი სამშაბათი | წვიმა +20+24 11 ივლისი ოთხშაბათი | ძლიერი წვიმა +21+24 12 ივლისი ხუთშაბათი | ელ-ქვიმი +20+26 13 ივლისი პარასკევი | მზე +20+26 14 ივლისი შაბათი | მზე +20+27 15 ივლისი კვირა |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|--|--|--------------------------------|-------------------------------|

